*პროექტი*

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილის I, №35 მუხ. 245, 19.11.09) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატება:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სახელმწიფო ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის ქონების გადაცემა

სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, მიიღოს და ბალანსზე აიყვანოს ქონება, რომელიც მას გადასცა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. სახელმწიფო ორგანოს მიერ ასეთი ფორმით მიღებული ქონება ექვემდებარება სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. კანონის მე-6 მუხლის

ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვლისწინებული შემთხვევისა ამ მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, გარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა, შემოქმედებითი კავშირებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მის სარგებლობაში არსებული ქონების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით “.

ბ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-9 პუნქტი:

„9. საქართველოს მთავრობის თანხმობით, შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ქონება გადაეცეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით ვადით ან უვადოთ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ.“.

3. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ქონების კონკურსის ან აუქციონის გარეშე გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, ხოლო ეროვნული სპორტული ფედერაციებისათვის ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი